პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 119 (11730)

კვირა, 22 მაისი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

შრომა, წინსვლა!

საქართველოს მშრომელები, მჭიდროდ დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მონოლითური ერთიანობით ეგებებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრავალ პლენუმს. რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები, ყველა მშრომელნი ისწრაფვიან ჩვენი ცხოვრების ეს დიდი მოვლენა აღნიშნონ ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარებაში. ახალი ძალით აჩაღებენ რა შეჯიბრებას, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები აჯამებენ მოპოვებულ გამარჯვებებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით განიხილავენ ტექნიკური პროგრესის წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ახალი ტექნოლოგიის შემუშავების და დანერგვის საკითხებს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდების, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა შვიდწლედის პირველ წელს წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში განახორციელეს 370-ზე მეტი მნიშვნელოვანი ღონისძიება. დადგმულია ბევრი ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, ავტომატი და ნახევრადავტომატი, შექმნილია და ათვისების პროცესშია ახალი, გაუმჯობესებული მანქანები და ხელსაწყოები. დაინერგა მოწინავე ტექნოლოგია. ყოველივე ამის შედეგად შარშან წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა პროდუქციის გამოშვება, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. რესპუბლიკამ მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 150 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო. დიდი წარმატებებია მოპოვებული მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. პროდუქციის გამოშვების გეგმა 106 პროცენტით შესრულდა. ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით წინა წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, სადაც განახორციელეს „140“ და „400“ აგრეგატების გამჭოლი და 2 სამართი დგანის ავტომატიზაცია. ამ და სხვა ტექნიკურმა სიახლეებმა საშუალება მისცა ქარხნის კოლექტივს სისტემატურად სრული მეტალურგიული ციკლით შესარულოს საწარმოო დავალებანი, ტექნიკური პროგრესის და ჩქარობსნული ღონის ბანახორციელებით ქარხნის კოლექტივმა 5 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება მიიღო.

ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში არიან ქუთაისის ავტომობილმშენებლები. მათ შექმნეს საცდელი ნიმუში გამწევი ავტომანქანისა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად 7-8 ტვირთის გადატანა. აქვე დამზადდა მცირე გაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი“, რომლის სერიულ წარმოებას ქარხანა წელს შეუდგება.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის კვების მრეწველობაში. შარშან ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში საეკსპლოატაციოდ გადაეცა მსოფლიოში პირველი ავტომატური ნაკადური ხაზი მწვანე ბიბაო ჩაის გადასამუშავებლად, რომელიც შექმნეს მეცნიერებმა წარმოების მუშაკებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით. ჩაის

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა ეთიოპიაში

მოსკოვიდან ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში 21 მაისს „ილ-18“ სპეციალური თვითმფრინავით გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია. იგი მონაწილეობას მიიღებს იქ სსრ კავშირის სამრეწველო გამოფენის მომავალი გახსნის ცერემონიაში. (საკდესი).

რამდენიმე ფაბრიკაში განხორციელდა აგრეთვე საოლერო საამქროს კომპლექსური მექანიზაცია.

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ბათუმის მანქანათმშენებლებმა. მათ დაამზადეს მუდმივმქმედი როლერები, ჩაის ფერმენტაციის საკანი, ვიბროტრანსპორტიორები, მრავალიარუსიანი დამხარისხებელი და სხვა მოწყობილობა. ეს მანქანები ახლო მომავალში შექმნიან მტკიცე საფუძველს ჩაის ფაბრიკების ავტომატიზაციისათვის, სადაც ყველა პროცესი ჩაის მწვანე ფოთლის წარმოებაში ჩაშვებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე იწარმოებს ადამიანის ხელის მიუკარებლად — ავტომატურად.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მუშაობისა, რომელიც ხორციელდება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში, ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს არსებითი ნაკლოვანებები აქვს. წარმოების მეტ წილ დარგებში პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ არის გადაჭარი მრავალ სახეობათა სამუშაოების, განსაკუთრებით იმ დამხმარე სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციის საკითხი, რომლებზეც დასაქმებულია ყველა მუშათა დაახლოებით ნახევარი. ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელად ხორციელდება მექანიზაცია მშენებლობაში, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე.

მაგალითად, სუსტად ინერგება ტექნიკური სიახლეები რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში. თბილისის ს. ორჯონიკიძის ქარხანამ თითქმის ოთხ წელიწადს გააჭიანურა ღვინის ჩამოსასხმელი ხაზისა და ქაღალდში ბოთლების შესახვევი ავტომატის გაკეთება.

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის შეუნელებელი შრომაა საჭირო. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთონ გაწეულ მუშაობას, მთელი ყურადღება მიაქციონ გადაუჭრელ ამოცანებს, ფართოდ გაიჩაღონ ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, ახალი იარაღ-მანქანებისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, წარმოების რენტაბელობის განუხრელად გადიდებისათვის, საწარმოში არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

მოწონებისა და მხარდაჭერის ღირსია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის თაოსნობა. ჩარხმშენებლებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯამეს გაწეული მუშაობა, აწონ-დაწონეს მთელი თავისი შესაძლებლობანი, იკისრეს ახალი ვალდებულებანი და რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს მოუწოდეს ახალი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების და სამეურნეო ხელმძღვანელების ვალია უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში მასების მზარდ შრომითს აქტივობას, გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი. საჭიროა მზრუნველობით შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და დავნერგოთ ყოველივე ახალი, პროგრესული, რაც შეჯიბრების მსვლელობაში იბადება, ყოველ სამუშაო უბანზე შევქმნათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები.

უფრო მაღლა ავწიოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ბაგრატუნიანს იუგაბერ ამბარცუმის ასულს — საბჭოთა მეურნეობის მუშას, ახალქალაქის რაიონის სოფელი კარწახი.

2. ძაძუას ვენერა ნესტორის ასულს, — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის კოლეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლეურნეს.

3. ერიწიანს ჰოარიკ მარტიროსის ასულს — კოლეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი აბული.

4. მამულაძეს ფაქინაზ ოსმანის ასულს — კოლეურნეს, აჯარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი კალთა.

5. პერტაიას ოლღა ჩაგუს ასულს — კოლეურნეს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელი სალხინო.

6. წულაიას ლუბინა ანდრიას ასულს — ცხაკაიას სახელობის კოლეურნეობის კოლეურნეს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი.

7. შენგელიას ქენია დიტოს ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ ქალაქ გალი.

8. იარადანგულიევას შაშადა მუსა ყზის — კოლეურნეს, დმანისის რაიონი, სოფელი უსეინქენდი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 20 მაისი.

1960 წლის 24 მაისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში

მოწვეულია

მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი

თათბირზე მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში (მთავრობის სახლი, II სართული, ოთახი № 50) 23 მაისს დილის 10 საათიდან 18 საათამდე და 24 მაისს დილის 8 საათიდან 9 ს. 30 წუთამდე.

გულითადი შეხვედრები

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ბერლინიდან გამოფრენის დროს

1960 წლის 21 მაისს

ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო ვალტერ ულბრიხტ!

ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო ოტო გროტეოლ! ამხანაგი გროტეოლი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა აეროდრომზე. გთხოვთ გადაცეთ მას, რომ გულითადად ვუსურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.

ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო ბერლინელებო!

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი კურსს აიღებს სამშობლოსაკენ, მოსკოვისაკენ, ხოლო ორიოდე საათის შემდეგ უკვე შინ ვიქნებით. როგორც ხედავთ, ეს მეტად მოკლე ვადაა. ამიტომ ბერლინელებს და მოსკოველებს შეუძლიათ თავი მეზობლებად მიიჩნიონ. მაგრამ ისინი არა მარტო მეზობლები, ისინი მეგობრები, ერთგული ამხანაგები არიან საერთო ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

დიდი და მხურვალე მადლობა ყველას ძმური შეხვედრისათვის, იმ გულთბილი გრძნობებისათვის, რომლებიც გამოთქვით ჩემდამი, მაშასადამე, მთელი საბჭოთა ხალხისადმი. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საბჭოთა ადამიანები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საიმედო მეგობრები არიან.

როგორც იცით, ჩვენ ვისაუბრეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან მომწიფებული საერთაშორისო პრობლემებზე, კერძოდ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ უმაღლეს დონეზე თათბირის ჩაშლის გამო. ამ საუბრის დროს გამოვლინდა ჩვენი სრული ერთსულოვნება. იგი განამტკიცებს ორივე ჩვენი ქვეყნის პოზიციებს, ისე როგორც დიადი სოციალისტური ბანაკის ყველა სახელმწიფოს პოზიციებს. მტკიცედ ვიბრძოლეთ საერთაშორისო სადავო საკითხების სამართლიანად გადაჭრისათვის სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის საფუძველზე.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა და დარაზმულობა როგორც დიდი ეკონომიური პრობლემების გადაჭრაში, ისე საერთაშორისო საქმეებში ურყევი ძალაა. განვამტკიცოთ მშვიდობა ჩვენი დიადი სოციალისტური ძმობის ერთობლივი ღონისძიებებით, რაკი იგი მიგვაჩნია დედამიწაზე ყველა პატიოსანი ადამიანის მშვიდობის გარანტიად.

გისურვებთ ყველას ახალ წარმატებას სოციალისტურ მშენებლობაში, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის ბრძოლაში!

ერთხელ კიდევ გმადლობთ შეხვედრისა და კარგი და გულთბილი სურვილებისათვის.

ნახვამდის, ამხანაგო ბერლინელებო, ნახვამდის ჩვენო მეგობრებო!

აუფვიდერზეენ!

ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

21 მაისს სამუშაო დღის ბოლოს მოსკოველები განუწყვეტლივ ნაკადად მიდიოდნენ დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. შეიტყო რა სახელმწიფო-გარეთიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი დაბრუნების ამბავი, ათეულ ათასობით მცხოვრები შეიკრიბა ვნუკოვოს აეროდრომისაკენ მიმავალ ქუჩებსა და პროსპექტებზე.

ბევრი ხალხი იყო ვნუკოვოს აეროდრომზე. აქ მოვიდნენ ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები.

14 საათსა და 30 წუთისათვის საფრენ მინდორზე მოვიდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები...

მეჭუხარე ტაში გაისმა აეროდრომზე, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი გადმოვიდა „ილ-18“ საპაერო ლაინერიდან. საბჭოთა მთავრობის მეოთხე გულითადად მიესალმა შვილიდერი.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს აეროდრომზე შეკრებილი მოსკოველები. გაისმოდა ძახილები: „ჯანთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ნიკიტა სერგის-ძევ!“. შეკრებილთა რიგებში გაისმოდა ხმამაღალი „ეაშა“!.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მოსკოვს დაბრუნდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, აგრეთვე მოგზაურობაში ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები.

აეროდრომიდან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები ქალაქში წავიდნენ.

ბერლინი, 21 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). კაშკაშა მზიანი დღითან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ტოვებდა ბერლინს, სადაც იგი ორ დღეს იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით.

დღის 8 საათსა და 15 წუთზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამხანაგ ვალტერ ულბრიხტთან ერთად ღია მანქანით გაემგზავრა რეზიდენციიდან შინეფელდის აეროდრომზე. მათ მიჰყვება ავტომობილების კორტეჟი, რომლებშიც არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი და საბჭოთა მთავრობის მეთაურის თანმხლები პირები. მის მოგზაურობაში საფრანგეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

26 კილომეტრით არის დაცილებული რეზიდენცია აეროდრომიდან, და ყველგან გზის ორივე მხარეზე დგანან ადამიანები, რომლებიც გამოსულან ნიკიტა სერგის-ძის გასაცილებლად. ზოგან მთელ უბნების მანძილზე ისინი ქმნიან მთლიან ცოცხალ კორიდორს. გუშინ მათ ყველამ მოისმინეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის შესანიშნავი სიტყვა მიტინგზე ვერნერ ზეელენბინდერის სახელობის დარბაზში. ამ სიტყვამ ბერლინელებს ჩაუნერგა მტკიცე რწმენა, რომ იმპერიალისტთა მთელი ხრიკების მიუხედავად მშვიდობა უზრუნველყოფილ იქნება. ამიტომ განსაკუთრებით სიხარული მოფენია დღის სახეზე ადამიანებს, ამიტომ ასე გულითადად და მხურვალედ მიესალმებიან ისინი ხალხთა მშვიდობისა და უშიშრების სადარაჯოზე მდგომი დიდი სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის მეთაურს.

ერთ საათზე მეტს გაგრძელდა ეს მოლაპარაკება, და ყველგან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ხედავდა მეგობართა მხიარულ სახეებს, რომლებიც საბჭოთა ხალხთან გაერთიანებული არიან შეხედულებათა და მიზანთა ერთიანობით. ხალხი მიდის მანქანასთან და ყრის მასში იასამნის თაიგულებს, რომელიც ახლა ყვავის ბერლინის ბაღებსა და პარკებში. ბავშვები და მოზრდილები იქნევენ ფერადფერად ალმებს. ღიდეს მაღლა აუწევიათ თავიანთი პატარა შვილები, რათა მათ დაინახონ ამხანაგი ხრუშჩოვი. ყველგან გაისმის შეძახილები: „ბეჭნიერი მგზავრობა, ამხანაგო ხრუშჩოვ! ჩამოდით ჩვენთან!“

ერთ-ერთ ქუჩაში მჭიდრო კედლად დგანან ბერლინის მუხრუჭების ქარხნის მუშები. აქვე დადგმულია პლაკატი, რომელზეც წარწერილია: „ჩვენ, მუხრუჭების ქარხნის მუშები, მივესალმებით გერმანელი ხალხის მეგობარს ნ. ს. ხრუშჩოვს“.

9 საათსა და 30 წუთზე კორტეჟი შედის შინეფელდის აეროდრომზე.

აქ უკვე შეკრებილან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ი. დი

შემოქმედებითი, ცოცხალი საქმე

სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში დასასრულს უახლოვდება. კომუნისტების, კომკავშირელების, უპარტიო აქტივისტების მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც სისტემატურად იმაღლებდა თავის იდეურ დონეს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით, დიდი ამოცანების წინაშე დადგა. დაიწყო სასწავლო წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შეჯამების პერიოდი.

დიდი ლენინი ამბობდა, რომ „პოლიტიკური განათლების შედეგები შეიძლება მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით გაიზომოს". და თუ ამ გენიალური მითითების მიხედვით მივუდგებით პოლიტიკური განათლების ქსელში გასული სასწავლო წლის შედეგების შეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ცუდად როდი უმუშავიათ. გასული წლის და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები, სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში მოპოვებული წარმატებები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენად ამაღლდა მასების პოლიტიკური შეგნებულობა, თუ როგორ გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის ივნისში მიღებულმა დადგენილებამ „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ" დიდად შეუწყო ხელი პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ახალი ძალით, ახლებურად ჩქეფს იდეური ცხოვრება. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში სერიოზული ღონისძიებები გატარდა საერთოდ პარტიული პროპაგანდის და მის შიგნით პროპაგანდის გადამწყვეტი რგოლის — პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობის გასაუმჯობესებლად. პროპაგანდისტულ მუშაობაში დამატებით იქნა ჩაბმული ახალი კადრები. პოლიტიკური განათლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას. სენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნით განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიე თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდის, გორის, თელავის და სხვა პარტიკომების ორგანიზაციებმა.

სასწავლო წლის დამთავრებას პოლიტიკური განათლების ქსელში წარმატებით შეხვდა ამერიკაკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი. სემინარის მსმენელებმა სასწავლო წლის განმავლობაში ღრმად შეისწავლეს კონკრეტული ეკონომიკის საკითხები. ისინი ხშირად სემინარულ მეცადინეობებზე მსჯელობისას აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს საამქროს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომელთა უმრავლესობა გათვალისწინებულ იქნა და დაინერგა. ამ დღეებში აქ მაღალ იდეურ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა შემაჯამებელი მეცადინეობა, რომელმაც ცხადყო სასწავლო წლის მანძილზე გაწეული მუშაობის დადებითი შედეგები. ასევე ნაყოფიერად მუშაობდა სასწავლო წლის მანძილზე თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრე, რომლის პროპაგანდისტია ამხ. ივ. ზვიადე. წრის მსმენელებმა შემაჯამებელ მეცადინეობაზე გამოავლინეს ჩვენი პარტიის სახელოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა ცოდნა.

პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მოსამზადებელი მუშაობა ყველგან დამთავრდა, ბევრგან მას წინ უძღოდა პარტიულ კომიტეტებში მოწყობილი თათბირები. პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პროპაგანდისტებს, სემინარებისა და სკოლების ხელმძღვანელებს მიეცათ სათანადო ინსტრუქტაჟი, თუ როგორ მოაწყონ შემაჯამებელი მეცადინეობა. ახლა მთავარი ის არის, რომ შემაჯამებელი მეცადინეობა პარტიული განათლების ყველა რგოლში ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდეს. შემაჯამებელ გასაუბრებას უნდა მიეძღვნას ორი-სამი მეცადინეობა წრეებსა და ჰოლიტსკოლებში და ერთი-ორი მეცადინეობა თეორიულ სემინარებში. შემაჯამებელ გასაუბრებაზე გამოტანილ უნდა იქნას სასწავლო წლის მანძილზე შესწავლილი საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური. უნდა ვეცადოთ, რომ მსმენელი არ ჩავაყენოთ „ძნელ მდგომარეობაში", არ მივცეთ ე. წ. „თავსამტვრევა" კითხვები და რაც მთავარია, შემაჯამებელ მეცადინეობას არ უნდა ახასიათებდეს სკოლარობა და ფორმალიზმი. ამოცანა ის არის, რომ თვითეულმა მსმენელმა ღრმად შეიგნოს შეძენილი პოლიტიკური ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, ისწავლოს მისი გამოყენება თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

უდავოდ მისასალმებელი და მოწონების ღირსია ის წინადადება, რომ სასწავლო წლის ბოლოს მიიღწეოს ერთი ტიპის წრეებისა და სემინარების მსმენელთა საკალაქო, რაიონული და ჯგუფური თეორიული კონფერენციები. ასეთი კონფერენციების გამოცდილება ჯერ არა გვქონია. ამიტომ პარტიული კომიტეტების მოვალეობაა მოამზადონ ისინი რაც შეიძლება პოფიქრებულად და ორგანიზებულად.

სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით საჭიროა პოლიტიკური განათლების ქსელში ჩაბმული ამხანაგების ყურადღება გავამახვილოთ იმ უდავო ჭეშმარიტებაზე, რომ ჩვენს დროს ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის — ეს არის ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისთვისაც. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა ამავე დროს კომუნისტური ზნეობის, ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის დამკვიდრების პროცესია არის. უნდა მოვაგონოთ მსმენელებს ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ თუ არ ვმუშაობთ, თუ არ ვიბრძვით, კომუნიზმის წიგნურ ცოდნას არავითარი ფასი არა აქვს, რომ კომუნიზმის სწავლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სწავლის ყოველ ნაბიჯს კომუნიზმისათვის ბრძოლას ვუკავშირებთ.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო წლის წარმატებით დამთავრება საფუძველს უყრის მომავალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების შემდგომ გაუმჯობესებას.

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მშენებლობის პური

მაისის კვირადღეა. სახლში საწერ მაგიდას უზის შალვა და ახალშიღებულ გაზეთს კითხულობს. ალაგ-ალაგ სტრიქონებს ფერადი ფანქრით ხაზავს, ბლოკნოტში იწერს.

გაზაფხულის ამ ნათელ სასიხარულო დღეებში ინკირის მეხსიერებაში გაცოცხლდნენ ქარხნის კოლექტივის სასახელო საქმეები.

„1959 წლის ივლისი. კასპელმა მეცადინეებმა საკუთარი საშუალებებითა და სახსრებით ააგეს მეოთხე მბრუნავი ღუმელი, რომელიც წლინახევრით ადრე ჩაყენეს მწყობრში. სამშობლომ დამატებით ათეულ ათასობით ტონა ცემენტი მიიღო".

„1959 წლის 28 დეკემბერი. ქარხნის კოლექტივმა ქვეყანას უპატაჟა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. შვიდწლეულის დიად მშენებლობებს გაეგზავნათ ათეულ ათასობით ტონა ზეგეგმითი ცემენტი".

„1960 წლის მარტი. მწყობრში ჩადგა წიდაბლოკების საამქრო, რომლის წლიური წარმადობაა 20 მილიონი პირობითი ცალი აგური".

„1960 წლის აპრილი. აღიმართა მეექვსე წისქვილის შენობის კონსტრუქციები. მომდინარეობს მანქანა-დანადგარების მონტაჟი".

ეს და ბევრი სხვა რამ ამის მსგავსი ახსენდება კასპის ი. ბ. სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის გამოწვის საამქროს უფროსს, აგიტატორ შალვა აურუას და სახეზე კმაყოფილების ღიმილი გადაეკრვენს, ეამაყება, რომ მუშაობს ისეთ კოლექტივში, რომელიც შვიდწლეულის მოწინავე ხაზზეა.

„... 45 მილიონი ტონა ცემენტი... მშენებლობის უდიდესი მასშტაბების არსებობისას ასეთი რაოდენობაც კი ვერ დაგვაკმაყოფილებს" — ჩაჰკერკეტებდა იგი ამ სიტყვებს და უხმოდ იმეორებდა გულში. აგიტატორი ხვალინდელი მორიგი საუბრისათვის თეზისებს ადგენდა.

ლილაა... ვეებერთელა ღუმელები მძიმედ ბრუნავენ. საამქროს უფროსს შალვა აურუას მოახსენეს, რომ წუხელის ყველა ღუმელი ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვით მუშაობდა. ცალკეს გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 35 ტონა კლინკერი.

— ეს კარგია, მაგრამ მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, — თქვა აურუამ, — რომ შვიდწლედის მშენებლობებს, რომლებსაც ჩვენ ვამარაგებთ, მთლიანად ვაკმაყოფილებდეთ ცემენტით.

— მერე და ვერ შეგძლებთ ამას? — ჩაერია საუბარში ქარხნის პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე ბაბული ბინაშვილი.

— დღეს საგიტაციო საუბარში ამაზე მინდა მოველაპარაკო ბიჭებს! — თქვა შალვამ.

— რას იტყვი, შალვა, დაფქვის საამქროდანაც ხომ არ მოიწვიოთ წისქვილის მემანქანეები? არ აკობს გაერთიანებული საგიტაციო საუბარი ორივე საამქროს ცვლებისათვის გაიმართოს?

...მზე ძლიერ აცხუნებს. ამას მბრუნავი ღუმელების სიმხურვალეც ემატება. ცხელა ღუმელებთან, მაგრამ იქ, სადაც საგიტაციო საუბარი უნდა გაიმართოს, მდინარე ღუხერის ხეობიდან მონაბერი სიო საამონ ქრის.

შეკრებილა. საგიტაციო საუბრისათვის შეიკრიბნენ გამოწვისა და დაფქვის საამქროთა ცვლის მუშები. აქ არიან სხვა საამქროთა წარმომადგენლებიც.

შეკრებილთა შორის წინ წამოდგა შავგვრემანი, საშუალო ტანის კაცი. ეს აგიტატორი შალვა აურუაა. ხელში გაზეთი და ბლოკნოტი უჭირავს.

...საგიტაციო საუბარი დაწყო.

— ამხანაგებო! — ამბობს აგიტატორი, — ამას წინათ მუშობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, რომელმაც, როგორც იცით, მოისმინა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ". მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება, შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ფასების მასშტაბის შეცვლა და ამავეშიდ მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით შეცვლა ხალხისათვის პარტიის ზრუნვის ნათელი მაგალითია.

სახეზეა მზემოკიდებული ქალების შრომის ყიჟინა ისმოდა მაშინ სანავარდოს მინდვრებზე. მუშაობდნენ, იღებდნენ მოსავალს. იმერეთის ვრცელ მინდვრებზე ქალები და ბავშვები შრომის ფერხულში ჩაბმულიყვნენ ფრონტზე წასული ქმრებისა და ძმების მაგიერ. აქ, ამ შავად გადახნულ ველებზეც წყდებოდა ქვეყნის ბედ-იღბალი.

1942 წლის გაზაფხული იყო. ადიდებული რიონი შფოთვით მოაგორებდა ზვირთებს.

მტკაველზე ამოწეული სიმინდის მწვანე ხალიჩა გადაჰფენოდა მიწის შიშველ კერტს. მუხლებამდე კაბაწეული ქალები დაიბორტყვნენ შიგ და პატარა არხებით უხვი მდინარის წყალს ანაწილებდნენ.

ამ დროს სანავარდოს ველზე გრიგალივით შემოიჭრა შავი ბედაური, უცბად გაჩერდა და.... სანდომიანი სახის, შავგვრემანი, ახალგაზრდა ქალი ცეცხლივით გადმოეფინა ცხენს. კოლეგურნე ქალებმა წუთით შეწყვიტეს მუშაობა და მზერა ახალმოსულისაკენ მიმართეს.

— ახალი თავმჯდომარე მოვიდა, — წაჩურჩულა ერთმა. ეს სიტყვები შემდეგ მეორეს მისწვდა და, ბოლოს, მთელ მინდორზე გაიშალა სიმინდის მარცვლებივით.

— სად თქმულა, სად გაგონილა ქალი თავმჯდომარედ? ქალმა როგორ უნდა გვიხელმძღვანელოს? — ამბობდნენ ზოგიერთები.

— ლეკვი ლომისა სწორია... მაღლიანად უთქვამს ზოთას, ყოჩაღია, მუშობა უყვარს და საქმესაც გვიჩვენებს, — ამბობდა უმეტესობა.

ასეთი სულიერი ჰიდელი თვით თამარმა განიცადა რამდენიმე წლის წინ, როცა მას სანავარდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევდნენ, თითქოს შეშინდა კიდეც. უარსაც კი ამბობდა, ვერ შეეძლებო. ამ შიშმა იქნებ უუნარობისა და საქმის უცოდინარობის გამო შეიპყრო? არა, ხალხის წინაშე დიდი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა დაეუფლა მას. იქნებ ახალბედა იყო და იმიტომ კრთოდა? აბა გადაავლეთ თვალი მის წარსულს. ჯერ კიდევ 15 წლის გოგონა იყო, კომკავშირის რიგებში რომ შეეყარა, ამ ორგანიზაციას შეესისხლხორცა და შეეზარდა.

რამდენიმე წლის შემდეგ საშუალო სკოლა დაამთავრა და მალე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებაც მიიღო. სამტრედიის ძაფსაღებ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ჯერ მოანგარიშე იყო, შემდეგ კი მგეგმავი ეკონომისტი გახდა. ამავე დროს მან სამუშაოსგან მოუწყვეტლივ დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

მაგრამ თამარი მარტო სამსახურებრივი მოვალეობით როდი კმაყოფილდებოდა. მთელი გატაცებითა და სიყვარულით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. 1940 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში შეეკვეა. ეს იყო მისი ცხოვრების შესანიშნავი თარიღი. თამარი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში, მალე პარტიბიუროს მდივნის მოადგილედაც აირჩიეს.

მაშინ სანავარდოს კოლმეურნეობა სამტრედიის რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა. თამარ თავაძე სწორედ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. კოლმეურნეთა ამ დიდმა ნდობამ დაფიქრა ახალგაზრდა ქალი.

— შეეძლებ თუ ვერა ამ ნდობის გამართლებას? — ფიქრობდა თამარი, როცა კოლმეურნეობის მინდვრებისაკენ მიჰქროდა.

თამარმა შეძლო ამ ნდობის გაგამართლება.

გავიდა წლები. კოლმეურნეობა მომძლავრდა, გამსხვილდა და წელში გასწორდა.

შესანიშნავი ორგანიზატორი ქალი რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დაიწინაურეს. ეს იყო 1954 წელს. მაგრამ მხოლოდ ერთ წელიწადს მუშაობდა ამ თანამდებობაზე. გული

თამარ თავაძე.

* * *

მარცვალი მიიღეს, რითაც გეგმას 21 პროცენტით გადააჭარბეს. თითქმის სამმაგად შეასრულეს პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის გეგმა. უხვად მოიყვანეს ბოსტნეულიც. 2.000 ცენტნერის ნაცვლად 2.370 ცენტნერი კომბოსტო, პამიდორი და კიტრი მიიღეს. დიდი შემოსავალი მისცა კოლმეურნეობას მეცხოველეობამაც.

შარშან კოლმეურნეობაში ჰექტარზე 26 ცენტნერის ნაცვლად 28 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს. გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გეგმა. აღმავლობა დაეტყო მეცხოველეობის განვითარებასაც. საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.900 კილოგრამის ნაცვლად მიიღეს 2.056 კილოგრამი რძე. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოეს 290 ცენტნერი რძე და 46 ცენტნერი ხორცი. იმატა ფულადმა შემოსავალმა. კოლმეურნეობამ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე 340 ათასი მანეთი მიიღო და პირნათლად შეასრულა სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის ვალდებულება.

კოლმეურნეობამ მრავალი მოწინავე ადამიანი აღიზარდა. რაიონში ყველა კარგად იცნობს მწველავებს: ბაბილინა ჯიქიას, ლუბა ნიკოლაიშვილს, სონია მელქაძეს და სხვებს, რომლებმაც პირუტყვის შესანიშნავი მოვლა-პატრონობით დიდი წარმატება მოიპოვეს. განსაკუთრებით დაწინაურდა მემინდვრეობის მესამე ბრიგადა, რომელსაც ლ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს. ქება დაიმსახურა ნ. არაბიძის რგოლმა. სახელი გითქვეს კოლმეურნეებმა ოლღა ხუნდაძემ, პაშა კალანდაძემ და სხვებმა.

გამდიდრდა და გამშვენიერდა სოფელი... ის აღარ არის სამტრედიის ძველი უბანი სანავარდო, სახელიც კი შეიცვალა — ახლა ქალაქის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა ჰქვია.

კიკვიძელებმა საკუთარი სახსრებით ისევე თავისი კოლმეურნეობისაკენ მიუ[illegible] ... ტალური შენობები, კეთილმოყობილი საკოლმეურნეო კინტორა და საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებათა შენობები ააგეს. ლიტერატურით გამდიდრეს ახლადგაბული ბიბლიოთეკა. ძველი მიხვეულ-მოხვეული შუკებისა და ისლით გადახურული სახლების ნაცვლად ახლა შწვანეში ჩაფლულა სწორად გაწოლილი განიერი ქუჩები და კოსწია ორსართულიანი სახლები. ყველა ოჯახში ხალისიანი ცხოვრება ჩქეფს.

ქალაქის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა უკვე მესამე წელია სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ლატვიის სსრ ბაუსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან. კოლმეურნეები ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად იბრძვიან.

თამარ თავაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მას ბევრი რამ კარგი გაუკეთებია თავისი ამომრჩეველებისათვის.

თამარი მარტო კოლმეურნეობაში როდია მარჯვე, იგი კარგი დედა და მეოჯახე ქალია. ტკბილად ცხოვრობს თავის ოჯახში.

ტანაყრილ პალმებს შორის ლამაზად გამოიყურება ორსართულიანი კოხტა სახლი, ვაზის რქა შემოხვეულა აივნის სვეტებს. ქვევით ეზოში მარადმწვანე ხეივანია. ხეივანში მდგომ მაგიდასთან ზის სახენათელი, გულმართალი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა თამარი, თუმცა აქა-იქ თეთრი გამორეკია... მკერდზე ახალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი უბრწყინავს. ეს ჯილდო ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიიღო.

— ბარაქალა შენ, ჩვენი დროის ქალო, ბარაქალა!..

ქ. ხახუტაშვილი.

ენგური ახალ კალაპოტში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ბობოქარი მთის მდინარე ენგური. იგი განსაკუთრებით წყალუხვი ხდება გაზაფხულობით, როცა სვანეთის მაღალი მთებიდან გამეფნარი თოვლი პატარა მდინარეებად და ჩანჩქერებად ეერთდება მას. სოფელ ჯვართან (წალენჯიხის რაიონი) იგი დაიკაკვის, თითქოს დინჯი ხდება, მაგრამ კალაპოტი მაინც არ ეტევა. ადიდებისას ენგური მრავალ კილომეტრზე აჩანაგებს ნათესებს და მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებს.

დიდი ხანია ზუგდიდის წყალთა მეურნეობის სისტემა სამმართველოს მუშაკები (უფროსი მ. ბაღიშვილი) ენგურის მშფოთვარე ტალღებს ებრძვიან. ბევრგან გააკეთეს ჯებირები და კალაპოტში მოამზადეს ადგილი მდინარე, მაგრამ სოფლების ეკოკისა და ორსანტიის მცხოვრებლებს მაინც არ ეშველათ, მდინარეს ჯებირები ვერ იკავებდა. ბევრი იფიქრეს ამაზე და გადაწყვიტეს, რომ ენგურს ამიერიდან ახალი კალაპოტით ედინა ეკოკისა და ორსანტიის მიდამოებში.

მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. წყალდიდობამდე შესრულდა ახალი კალაპოტის გათხრის სამუშაოები 50 ათასი კუბური მეტრის მოცულობით. ამ დღეებში კი მოხდა მდინარის ახალ კალაპოტში გადაგდება. ენგური ახლა ახალი კალაპოტით მიედინება შავი ზღვისაკენ.

გუგუნები ტრაქტორები

გურჯაანი. (საკ. კორ.). ნანიანელმა კოლმეურნეებმა 150 ჰექტარის ნაცვლად ორას ჰექტარზე დათესეს სიმინდი. ნახევარზე მეტი კვადრატულ - ბუდობრივად. როგორც კი სიმინდმა სამი ფოთოლი გაიკეთა, ორმხრივი კულტივაცია დაიწყეს. მექანიზატორები პ. ხარაშვილი და მისი ვაჟი ო. ხარაშვილი „დტ-14" მარკის ტრაქტორს შეუფერხებლად ამუშავებენ. დღე ისე არ გავა, რომ 10-12 ჰექტარ სიმინდს არ გაუკეთონ კულტივაცია. ამასთან ჩვიდმეტი ჰექტარი საკვები ჭარხალი სანიმუშოდ დამუშავეს.

კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა, რომელსაც ი. ქერეკაშვილი ხელმძღვანელობს, ნათესების დამუშავებაში პირველობს. საკვები ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის პირველი კულტივაცია-თოხნა უკვე დაამთავრეს. ახლა სიმინდის ნათესებს ამუშავებენ. კოლმეურნეები ს. ზირაქაშვილი, პ. ხარაშვილი და სხვები ბაკურთან (წალენჯიხის რაიონი) იგი დაიკაკვის, თითქოს დინჯი ხდება, მაგრამ კალაპოტი მაინც არ ეტევა. ადიდებისას ენგური მრავალ კილომეტრზე აჩანაგებს ნათესებს და მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებს.

დიდი ხანია ზუგდიდის წყალთა მეურნეობის სისტემა სამმართველოს მუშაკები (უფროსი მ. ბაღიშვილი) ენგურის მშფოთვარე ტალღებს ებრძვიან. ბევრგან გააკეთეს ჯებირები და კალაპოტში მოამზადეს ადგილი მდინარე, მაგრამ სოფლების ეკოკისა და ორსანტიის მცხოვრებლებს მაინც არ ეშველათ, მდინარეს ჯებირები ვერ იკავებდა. ბევრი იფიქრეს ამაზე და გადაწყვიტეს, რომ ენგურს ამიერიდან ახალი კალაპოტით ედინა ეკოკისა და ორსანტიის მიდამოებში.

მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. წყალდიდობამდე შესრულდა ახალი კალაპოტის გათხრის სამუშაოები 50 ათასი კუბური მეტრის მოცულობით. ამ დღეებში კი მოხდა მდინარის ახალ კალაპოტში გადაგდება. ენგური ახლა ახალი კალაპოტით მიედინება შავი ზღვისაკენ.

ერთ-ერთ ბრიგადაში

სახეზეა მზემოკიდებული ქალების შრომის ყიჟინა ისმოდა მაშინ სანავარდოს მინდვრებზე. მუშაობდნენ, იღებდნენ მოსავალს. იმერეთის ვრცელ მინდვრებზე ქალები და ბავშვები შრომის ფერხულში ჩაბმულიყვნენ ფრონტზე წასული ქმრებისა და ძმების მაგიერ. აქ, ამ შავად გადახნულ ველებზეც წყდებოდა ქვეყნის ბედ-იღბალი.

1942 წლის გაზაფხული იყო. ადიდებული რიონი შფოთვით მოაგორებდა ზვირთებს.

მტკაველზე ამოწეული სიმინდის მწვანე ხალიჩა გადაჰფენოდა მიწის შიშველ კერტს. მუხლებამდე კაბაწეული ქალები დაიბორტყვნენ შიგ და პატარა არხებით უხვი მდინარის წყალს ანაწილებდნენ.

ამ დროს სანავარდოს ველზე გრიგალივით შემოიჭრა შავი ბედაური, უცბად გაჩერდა და.... სანდომიანი სახის, შავგვრემანი, ახალგაზრდა ქალი ცეცხლივით გადმოეფინა ცხენს. კოლეგურნე ქალებმა წუთით შეწყვიტეს მუშაობა და მზერა ახალმოსულისაკენ მიმართეს.

— ახალი თავმჯდომარე მოვიდა, — წაჩურჩულა ერთმა. ეს სიტყვები შემდეგ მეორეს მისწვდა და, ბოლოს, მთელ მინდორზე გაიშალა სიმინდის მარცვლებივით.

— სად თქმულა, სად გაგონილა ქალი თავმჯდომარედ? ქალმა როგორ უნდა გვიხელმძღვანელოს? — ამბობდნენ ზოგიერთები.

— ლეკვი ლომისა სწორია... მაღლიანად უთქვამს ზოთას, ყოჩაღია, მუშობა უყვარს და საქმესაც გვიჩვენებს, — ამბობდა უმეტესობა.

ასეთი სულიერი ჰიდელი თვით თამარმა განიცადა რამდენიმე წლის წინ, როცა მას სანავარდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევდნენ, თითქოს შეშინდა კიდეც. უარსაც კი ამბობდა, ვერ შეეძლებო. ამ შიშმა იქნებ უუნარობისა და საქმის უცოდინარობის გამო შეიპყრო? არა, ხალხის წინაშე დიდი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა დაეუფლა მას. იქნებ ახალბედა იყო და იმიტომ კრთოდა? აბა გადაავლეთ თვალი მის წარსულს. ჯერ კიდევ 15 წლის გოგონა იყო, კომკავშირის რიგებში რომ შეეყარა, ამ ორგანიზაციას შეესისხლხორცა და შეეზარდა.

რამდენიმე წლის შემდეგ საშუალო სკოლა დაამთავრა და მალე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებაც მიიღო. სამტრედიის ძაფსაღებ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ჯერ მოანგარიშე იყო, შემდეგ კი მგეგმავი ეკონომისტი გახდა. ამავე დროს მან სამუშაოსგან მოუწყვეტლივ დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

მაგრამ თამარი მარტო სამსახურებრივი მოვალეობით როდი კმაყოფილდებოდა. მთელი გატაცებითა და სიყვარულით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. 1940 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში შეეკვეა. ეს იყო მისი ცხოვრების შესანიშნავი თარიღი. თამარი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში, მალე პარტბიუროს მდივნის მოადგილედაც აირჩიეს.

მაშინ სანავარდოს კოლმეურნეობა სამტრედიის რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა. თამარ თავაძე სწორედ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. კოლმეურნეთა ამ დიდმა ნდობამ დაფიქრა ახალგაზრდა ქალი.

— შეეძლებ თუ ვერა ამ ნდობის გამართლებას? — ფიქრობდა თამარი, როცა კოლმეურნეობის მინდვრებისაკენ მიჰქროდა.

თამარმა შეძლო ამ ნდობის გაგამართლება.

გავიდა წლები. კოლმეურნეობა მომძლავრდა, გამსხვილდა და წელში გასწორდა.

შესანიშნავი ორგანიზატორი ქალი რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დაიწინაურეს. ეს იყო 1954 წელს. მაგრამ მხოლოდ ერთ წელიწადს მუშაობდა ამ თანამდებობაზე. გული

ჩეხოსლოვაკია-საქართველო

მეგობრობა

ნოდარ კურატაშვილი სამუშაო ტანსაცმლით გამოვიდა ბინიდან და აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა ლენინის სახელობის პროსპექტს. ქარხნის შესასვლელთან გაზეთის დამტარებელმა შეაჩერა და პაკეტი გადასცა. დახედა თუ არა, მაშინვე იცნო ნოდარმა ნაწერი...

მეგობრობამ არ იცის საზღვარი, არ იცის მანძილი. ასეთ გამოთქმებს ხშირად მოისმენთ და ეს სწორიც არის. თვე არ გავა, რომ ჩეხოსლოვაკიელმა ვილკამ და ქართველმა კურატაშვილმა ერთმანეთს წერილი არ გაუგზავნონ, ერთმანეთის ამბავი არ შეიტყონ.

საინტერესოდ დაიწყო მათი მეგობრობა. რა თქმა უნდა, ვილკი კურატაშვილს არ იცნობდა, მხოლოდ გაზეთის საშუალებით შეიტყო, რომ მისმა ბრიგადამ ერთ-ერთმა პირველმა მოიხვეჭა ამერიკაკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. სწორედ მაშინ გადაწყვიტა წერილი მიეწერა ქართველი მეტალურგისათვის, მეგობრული ურთიერთობა დამყარებინა მასთან. ნ. კურატაშვილს მოეწონა ჩეხი მეტალურგის ეს ვაჟკაცური სიტყვიერი და პასუხისა და თანხმობის მიცემა არ დაუგვიანებია.

და განა მარტო ნ. კურატაშვილი და მ. ვილკი მეგობრობენ?

არც თუ დიდი ხნის წინათ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 9 ჩეხი მეტალურგი ჩამოვიდა. მათი სახელი და გვარი ზეპირად იციან ქართველმა მეტალურგებმა, შეუფერხებლად ჩამოგითვლიან ვლადისლავ მალინსკის, იოზეფ ვონაშეკის, ოლდრიხ კრუპას, ანტონ ბრენეკის, ოლდრიხ პავლას, რუდოლფ ფოიტიკის, ოლდრიხ ფლეიზეს, ზდენეკ გაინოვსკისა და კარელ ხრომიკის სახელებს. ვინ მოთვლის რამდენი სასიამოვნო მოგონება აქვთ ჩვენს მეგობრებს ქართველებთან სტუმრობის შესახებ. ერთად მუშაობდნენ და უმეტესად დასვენების საათებსაც ერთად ატარებდნენ. ხშირად მიუწვევიათ სახლში ჩეხი მეგობრები მილსაგლინავი საამქროს უფროსს პ. წერეთელს, საამქროს უფროსის მოადგილეს ი. ყორდანიას, ელექტრიკოს ლ. გოგუაძეს, გამასპინძლებიან ქართული პურმარილით.

ჩეხებმა ქართულად რამდენიმე სიტყვაც ისწავლეს. ახსოვთ რუსთაველებს ვლადისლავ მალინსკის ქართულად წარმოთქმული სიტყვები დამშვიდობებისას: „ფოლადივით მტკიცე იყოს ჩვენი მეგობრობა, ჩემო ქართველო ძმებო".

ჩეხმა მეტალურგებმა დგან „140"-ზე გაიარეს ძირითადი საწარმოო პრაქტიკა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ასეთი ტიპის დგანი მათს ქარხანაშიც მონტაჟდებოდა, ხოლო მასზე მუშაობის პრაქტიკა არ ჰქონდათ.

... ქარხნის ეზოში შესულ ნ. კურატაშვილს ცნობილი მეფოლადე ა. ფანცულაია წამოეწია. ვილკის წერილის მოსვლა რომ შეიტყო, გაეხარდა, ჩეხი მეგობრის ამბავი იკითხა და მერე თვითონაც გაიხსენა ჩეხოსლოვაკიაში გატარებული შვებულების დღეები.

— ჩეხებმა დიდი პატივისცემით მიგვიღეს, — უყვებოდა ამირანი,—ყოველგვარი პირობები შეგვიქმნეს, რომ ფართოდ გავცნობოდით ამ შესანიშნავ ქვეყანას. ძალიან მომეწონა კარლოვი ვარი, პრაღა და სხვა ქალაქები. ვისარგებლე შემთხვევით და ვნახე შენობა, რომელშიც 1912 წელს მიმდინარეობდა პარტიის ისტორიული კონფერენცია. სანატორიუმში ბევრი ჩეხი მეტალურგი გავიცანი.

ა. ფანცულაიამ მეგობარს უამბო აგრეთვე იმის შესახებ, რომ ვიტკოვიცის მეტალურგიული ქარხნის სასტუმროს ვესტიბიულში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ლამაზად შესრულებული სურათი. ამ სურათზე გამოსახულია საბჭოთა სპეციალისტი ჩეხ მეტალურგებს შორის.

ჩეხოსლოვაკია. საქართველო. მათ შორის მანძილი საკმაოდ დიდია, მაგრამ იგი ერთმანეთს ვერ აშორებს მეგობრებს.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის

ზინაფრი

ბალადა

უკანასკნელ სართულზე,
შუბლგაოფლილი,
დგას, როგორც იალბუზზე,
მუშა ცნობილი,
აგურს აწყობს აგურზე
გულჩათხრობილი
და მლერის სიყვარულზე,
უარყოფილი.
სახლი თითქოს ლაჟვარდში
ნაშენებია —
ვარსკვლავებთან თამაში
დასჩემებია.
კოშკზე ჩრდილად ჭრელდება
თალხი გურუსი,
ქირს ჩანს მიანმველებად
ხალხის ფუსფუსი.
მშენებელი ახედავს
ცის თალს უქიროს.
უნდა ოქროს ნალვერდალს
დიდხანს უცქიროს.
უმზერს, ათვალიერებს,
რძისფერ ღრუბლებში
სით, როდის იელვებს
მისი ნუბიში,
ვინც საქმროზე შემწყრალი
გახდა მფრინავი,
ბაქრა, რომელიც მერცხალი
თავსაფრიანი.
კოშკზე, ბოლო სართულზე,
შუბლგაოფლილი.
დგას, როგორც იალბუზზე,
მუშა ცნობილი,
ცაში ღრუბლთ ქარავნებს
ხელით აჩერებს:
— ჩემი ბედი სად დაფრენს
ერთი მაჩვენთ!
ფიფილ აგურს აგურზე
აწყობს ზეცამდე:
შეგონდება მელირს,
გამომეცხადე.
შენთვის სპეტაკ საფოლად
ნისლებს გადავშლი,
მზისფერ კოშკში გაცხოვრებ,
ზღვისფერ ლაჟვარდში...
მლერის ალმშენებელი
ხმანაღვლიანი,
ღრუბლის გამჩერებელი
ადამიანი.
იფევს სახლი ზეცისკენ
ნისლით ნაგური
და ეფუფნა ზედიზედ
აგურს აგური.
ოქროხელა ქართველი
უხმობს ძმაკაცებს:
— ეს შენობა რამდენის
აკვანს დაარწევს...
აიცვამ ცხენებით
ჭერდალოცვილი,
ოთახებში სიმღერით
შევა კოშკური.
დიდ საფუტკრედ იქცევა,
თაფლი ჩალგება,
ეიც თუ მომეღირსება
დაოჯახება?..
მისდგმ მუშა ლაჟვარდში
მაღალ ხარაჩოს,
ლამის ცისკენ სწრაფვაში
დარდმა დაახრჩოს.
როგორც კლდოვან ყინულში
საფეხურები,
იგებდეა მის "გულში
საყვედურები:
— არსად ღიმილს არ აჩენს,
არ ჩანს მფრინავი,
ნეტავ საით სად დაფრენს
თავსაფრიანი?..
რომ მთავრდება სართული
უკანასკნელი,
ჩამოდის გულნაკლული
მუშა ქართველი,
ფიქრობს — „ლაჟვარდს არ
გავცვლი
ქუჩის ფუსფუსში“ —
და ეხვევა ვაჟკაცი
მწუხრის გურუსში,
თვალი შესაბრალისად
დაენამება,
დამთავრება სახლისა
დაენანება.

ოთარ ჭელიძე

სიცოცხლე იმარჯვებს

კ. ერისთავი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ცნობილია, რომ ჩვენი სამედიცინო მეცნიერება ზედიზედ აღწევს შესანიშნავ წარმატებებს. საქართველოში სამედიცინო მეცნიერებამ ფართოდ გაშალა მუშაობა როგორც სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, ისე უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში. ჩვენს მეცნიერებს აინტერესებთ ის საკითხები, რომლებსაც ადამიანის სიცოცხლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ.

სისხლის ძარღვების ქირურგიის ექსპერიმენტულმა დამუშავებამ შესაძლებელი გახადა ბევრი სიახლე დაესწრგათ კლინიკაში. უკვე გაკეთებულია მთელი რიგი ოპერაციები სკლეროზირებულ პერიფერიულ სისხლის ძარღვებში სისხლის მიმოქცევის აღდგენისათვის, წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის დარგში, სისხლის ავთვისებიან დაავადებათა მკურნალობის დარგში და ა. შ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი ხუთი წელია ამუშავებს მაგისტრალური სისხლის ძარღვების ზოგიერთი ორგანული დაავადების ქირურგიული მკურნალობის საკითხს. ინსტიტუტში შესრულებულია 90-მდე სხვადასხვა ოპერაცია მაგისტრალურ სისხლის ძარღვებზე. დღემდე ინსტიტუტში დამუშავებულია ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიც არის გულმკერდის აორტაში სისხლის მიმოქცევის შეჩერების დასაშვები ხანგრძლივობა. გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ ნორმოთერმიის პირობებში გულმკერდის აორტაში სისხლის მიმოქცევის შეჩერება დასაშვებია 30 წუთამდე და ეს არ გამოიწვევს ქვედა კიდურების დამბლებს და სხვა რაიმე გართულების განვითარებას. ჰიპერნარკოზია საშუალებას იძლევა ეს დრო გახანგრძლივებულ იქნას 50 წუთამდე, ხოლო საშუალო სიღრმის ჰიპოთერმია (28°-30°) 2 საათამდე. ინსტიტუტში დამუშავებულია აგრეთვე გულმკერდის და მუცლის აორტის ჰომოპლასტიკა და ალოპლასტიკა. ალოპლასტიკა ნაწარმოებია სხვადასხვა სინთეზური ნივთიერებებისაგან, დამზადებული ხელოვნური სისხლის ძარღვებით. მიღებული შედეგები უდავოდ მეტყველებს ალოპლასტიკის სასარგებლოდ. ცდები ჩატარებულია 45 ძაღლზე.

ამჟამად ინსტიტუტში მუშავდება პერიფერიული სისხლის ძარღვების ჰომოპლასტიკისა და ალოპლასტიკის საკითხები. კეთდება შემოვლითი ანასტომოზები აორტასა და თეძოს საერთო, თეძოს გარეთა და ბარძაყის არტერიებს შორის.

ინსტიტუტის თანამშრომლები 500-ზე მეტ ავადმყოფს ვმკურნალობდით კონსერვატიული და ოპერატიული მკურნალობის თითქმის ყველა მეთოდით. მკურნალობის კონსერვატიული მეთოდებიდან რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ბალნეოლოგიურ მკურნალობასა და ადგილობრივ ჰიპოთერმიაზე. ბალნეოლოგიური ფაქტორების შესწავლა ხდებოდა მენჯში, მაცესტაში, წყალტუბოსა და ახტალაში (ტალახის აბანაანები). ყველაზე უკეთესი შედეგები მივიღეთ მენჯსა და მაცესტაში. მაცესტაში რამდენიმე წლის წინათ 171 ავადმყოფზე დაკვირვებას აწარმოებდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბურჯანაძე და 87 პროცენტში კარგი შედეგები მიიღო. ხოლო მენჯში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა კაკულიამ საკმაოდ დაწვრილებით შეისწავლა 150 ავადმყოფი. ყველაზე უკეთესი შედეგები მან მიიღო დაავადების პირველ სტადიაში (სპაზმატური, სკლეროზული, თრომბულ-ემბოლიური) — 94 პროც., მაგრამ სხვა სტადიებშიც აღინიშნება ხანმოკლე გაუმჯობესება. სწორედ პირველ სტადიაში იგი აღნიშნავს საკმაოდ ხანგრძლივ რემისიებს. რაც შეეხება წყალტუბოს, ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნა ხანმოკლე გაუმჯობესება, მაგრამ საკმაოდ ხშირად პროცესის გამწვავებაც. ასე რომ ენდარტერიიტით დაავადებულებს ჩვენ წყალტუბოში მკურნალობას ვერ ვურჩევთ.

ახტალის ტალახი ჩვენი მონაცემებით პროცესის გაუარესებას იძლევა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გაწეულია დიდი ექსპერიმენტული მუშაობა სხვადასხვა მასალის გადასანერგავად როგორც პერიფერიულ, ისე მსხვილ მაგისტრალურ ძარღვებში.

ინსტიტუტი უკვე ნერგავს პრაქტიკულ მუშაობაში ადამიანის მკურნალობის ახალ მეთოდებს, რომლებიც ხანგრძლივი ცდებისა და დაკვირვების შედეგად არის მიღწეული.

აგრესია კრახს განიცდის

ა. ა. გრომიკო ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 21 მაისი. (საკ.). გუშინ პარიზიდან თვითმფრინავით ნიუ-იორკში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომ მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოს მუშაობაში, რომელიც შეიკრიბება 23 მაისს იმისათვის, რომ განიხილოს საკითხი „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედების შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას“. ნიუ-იორკის აიდლუაიდის აეროპორტში ა. ა. გრომიკომ კორესპონდენტებს განუცხადა:

სსრ კავშირის მთავრობა, როცა ამ საკითხს გაერთიანებული ერების წინაშე აყენებდა, იმას ითვალისწინებდა, რომ პროვოკაციების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს, უაღრესად დიდ საფრთხეს წარმოადგენს. თუ ამ პოლიტიკას ბოლო არ მოეღო, მდგომარეობა შეიძლება უფრო მეტად გართულდეს და მსოფლიო შეიძლება ჩათრეულ იქნას ისეთ ამბებში, რომლებიც არა სურს არც ერთ ხალხს, მათ შორის არც ამერიკელ ხალხს, და მით უმეტეს, რომლებიც არ სურს არც ერთ ადამიანს მსოფლიოში, რომელიც ზრუნავს წმიდობის ბედისათვის, თავისი ქვეყნის ბედისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღნიშნული პოლიტიკა მხილებულია და მსოფლიომ იცის შესაბამისი ფაქტები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ და პირადად სსრ კავშირის მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოაქვეყნეს. მაგრამ ეს საკმაო არ არის, მით უმეტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეებისა და პირადად პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადებათა მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ არ დაგმო აღნიშნული პოლიტიკა და არ მიიღო ღონისძიებანი, რომ მას ბოლო მოუღებოდა.

ყველა გარემოება აიძულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და უწინარეს ყოვლისა ორგანოს, რომელსაც ეკისრება მთავარი მოვალეობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, — უშიშროების საბჭოს — ამ საკითხს მიაქციოს სერიოზული ყურადღება და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა შეწყდეს პროვოკაციებისა და აგრესიის პოლიტიკა. უშიშროების საბჭოს პირდაპირი ვალია მიიღოს ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს მისწრაფებას საერთაშორისო ურთიერთობაში სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა, რაც საყოველთაოდ ცნობილი და ურყევი პრინციპია სახელმწიფოთა ურთიერთობაში, შეიცვალოს თვითნებობის და საერთაშორისო არავის პოლიტიკით.

უშიშროების საბჭომ რომ თავი აარიდოს თავისი მოვალეობის შესრულებას, ამით იგი ცუდ სამსახურს გაუწევს მშვიდობის საქმეს. იმედი ვიქონიოთ, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, რომ უშიშროების საბჭო მთელი სერიოზულობითა და ობიექტურობით მიუდგება საბჭოთა მთავრობის მიერ მის წინაშე დასმული საკითხის განხილვას და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეესაბამება მშვიდობისა და სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის განვითარების ინტერესებს.

ა. ა. გრომიკოს აეროპორტში შეხვდნენ სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი, ბელორუსიის სსრ მუდმივი წარმომადგენელი ფ. ნ. გრიაზნოვი, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ვაშინგტონში მ. ნ. სმირნოვსკი.

ომი ახლა თვითმკვლელობაა

ლონდონი, 20 მაისი. (საკ.). ინგლისის ფელდმარშალმა მონტგომერიმ, რომელიც „პეკინს მიემგზავრება“, დღეს დაგმო შეერთებული შტატების მოქმედება. იგი გამოვიდა ჰონკონგში პრეს-კონფერენციაზე და, როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, განაცხადა, რომ ამერიკის „უ-2“ ჯაშუშური თვითმფრინავების ფრენას საბჭოთა ტერიტორიაზე არ ჰქონია რაიმე გამართლება. აღნიშნა რა, რომ ამით დაირღვა საერთაშორისო სამართალი, მან თქვა: „არ მგონია, რომ შეიძლებოდეს ამისაგან თავის დაღწევა... ასეთი მოქმედება ყოველად გაუმართლებელია. თუ რომელიღაც ქვეყანას სურს ასე მოიქცეს, თავის მოკავშირეთა აეროდრომებს არ უნდა იყენებდეს“. მონტგომერიმ ტრაგედია უწოდა „უ-2“ თვითმფრინავის ჯაშუშურ ფრენას და დასძინა: „საშინელებაა მოკავშირეთა ჩარევა ამგვარ საქმეებში, ისე რომ მათ არაფერი უთხრან“, უკანასკნელი ამბების მიხედვით მან დასავლეთის სახელმწიფოებს მოუწოდა გადასინჯონ თავიანთი პოლიტიკური კურსი, ამასთან გაითვალისწინონ რომ ომი თანამედროვე პირობებში თვითმკვლელობის მომასწავებელია.

მშვიდობა უომოდ!

არნახული მიტინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 20 მაისი. საკ.). სსრ კავშირის ელჩებმა შვეიცარიაში ფ. ტ. გუსევმა საბჭოთა კავშირის სტოკჰოლმის საელჩოში დარბაზობა გამართა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევის შვეიცარიაში ყოფნის გამო. დარბაზობაზე იყვნენ შვეიცის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და წევრები.

□ **ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი შეერთებულ შტატებში გაფრინდა ლისაბონიდან, სადაც მან ერთ დღეს დაჰყო პარიზიდან გამგზავრების შემდეგ.

□ „სს-11“ ტიპის 20.000 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა შეუკვეთა ბონის თავდაცვის სამინისტრომ საფრანგეთის ფირმას „ნორ-ავიაციონს“.

მაკმილანის გამოსვლა

ლონდონი, 20 მაისი. (საკ.). დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა თემთა პალატაში გააკეთა განცხადება პარიზის მოლაპარაკების შესახებ. მაკმილანმა გააშუქა მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა.

მკურნალი

თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ შუამთაში, გომბორის მხრიდან, თურდოს ხევიდან ამოყოლილხართ ბუნების ამ სიმშვენიერეს და გადმოგიხედავთ ალაზნის ველისათვის, გინახავთ როგორ ამოდის მზე კავკასიონის მთაგრეხილებიდან, როგორ იღვიძებს ბუნება, უეჭველია, არასოდეს არ დაგავიწყდებათ იგი.

არასოდეს არ დაგავიწყდებათ ამ მთებივით ზვიადი, ალაზანივით შეუპოვარი, შრომისმოყვარე ადამიანები, რომელთა მარჯვენას ხეივნებით, ბაღებითა და ვენახებით ასე დაუშშვენებიათ საქართველოს ეს ბარაქიანი კუთხე.

თუნდაც შეიფენდთ აგერ ალაზნის გაღმა მთებს შეფენილ პატარა სოფელ ფშაველში. რაიონის ცენტრიდან — თელავიდან 38 კილომეტრი უნდა გაიარო, რომ იქ მიხვიდეთ.

სკოლა, სამკითხველო, კულტურის სახლი, საავადმყოფო — რა არა აქვს ამ სოფელს. თელავიდან თორღვას ბანაოსაკენ მიმავალი გზატკეცილი ჯერ ამ სოფელში შეგიყვანს, მერე კავკასიონისაკენ მიიკლაკნება.

სწორედ ამ გზატკეცილით მიეედით იმ დღეს სოფელ ფშაველში. სასოფლო საბჭოს შენობა'ში თავმჯდომარის მაგიდას უჯდა საშუალო ტანის, ასე ორმოცდახუთი წლის დარბაისელი კაცი, მას კოლმეურნეები ეხვევნენ და საზაფხულო საშუშაოთა შესახებ მსჯელობდნენ.

— ბრიგადირი დღესვე უნდა წავიდეს საზაფხულო საძოვრებზე! სთქვა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შალვა გვიშიანმა.

— იქნებ აჯობს ზოოტექნიკოსი წავიდეს!..

— არა, ზოოტექნიკოსი ჯერჯერობით სოფელში დარჩება... არა ჰქონდა სიტყვა დამთავრებული გვიშიანს, რომ ოთახში ჭიღარა კაცი შემოვიდა. იგი მეტად შეწუხებული იყო და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— ექიმო, მიშველე, ბავშვი დამემტვრა!

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ექიმი?!... იქნებ ყურმა მოგვატყუა.. მაგრამ არა, გვიშიანი სწრაფად წამოდგა, ბოდიში მოიხადა, „მალე მოვალო“ — დაიბარა და ჭიღარა კაცთან ერთად სწრაფად გავიდა შენობიდან.

სანამდის შალვა გვიშიანი დაბრუნდებოდა, კოლმეურნეებმა ბევრი რამ გვიამბეს ამ ექიმისა და საზოგადო მუშაკის შესახებ.

ერთმა თქვა: დაუზარებელი კაცია, ჩვენი შალვა! დღე და ღამე, წვიმა და დარი მისთვის სულ ერთია, დაუძახებენ — ავადმყოფთან მიდის მთებში, შორეულ სოფლებში, თან მიაქვს წამლები... თაფლივით ტკბილი ენა აქვს. ხელი კი ისეთი სათნო, რომ რასაც მალამოს დაადებს, თქმა არ უნდა, მორჩენილია.

მეორემ ასეთი შემთხვევა გაიხსენა: „1946 წელს ჩემს მეზობელს სილოვან ტიტიაშვილს ტყვია მოარტყეს ფილტვის არეში. სად არ უმკურნალეს... პირველად ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თითქოს უკეთ გახდა, მაგრამ მალე გაურთულდა ჭრილობა. ექიმებმა იმედი დაკარგეს და გვირჩიეს წაგვიყვანა საავადმყოფოდან. მართლაც წავიყვანეთ. ყოველ წუთს ველოდით მის სიკვდილს. ამ დროს ერთმა მეზობელმა გვირჩია მოგვიწვია ექიმი შალვა გვიშიანი. ცდა ბედის მონახვერეა — ვთქვი, მოვახტი ცხენს და იმავ საღამოს მოვიყვანე. ექიმმა დიდხანს სიხჭა დაჭრილი, მერე ცალკე ოთახში გამიხმო და მითხრა: მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ ეცდები რამე ვუშველო. იმ დღიდან შალვა ავადმყოფს არ მოშორებია. დღე და ღამ თავს დასტრიალებდა, ბალლებიც თვითონ მოჰქონდა და სიკვდილთან ბრძოლაში გაიძარჯვა კიდეც. ახლა ეს ყველასგან გაოცებული ტიტიამვილი ფერმის გამგეად მუშაობს“.

მესამემ გაიხსენა თუ როგორი გულისხმიერებით და მონდომებით უმკურნალა ამ ექიმმა ვიქტორ ქავთარაძეს — მთათუმეთში ცხენმა რომ ჩამოაგდო და წიალთან ნაწლავი გაუხეთქა. ეს ბებუკიც საავადმყოფოდან გამოწერეს, როგორც უიმედო ავადმყოფი. ექიმმა გვიშიანმა მის მკურნალობას მოახმარა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება და ახლა ვ. ქავთარაძე მწყემსად მუშაობს.

შალვა გვიშიანი 23 წელია თელავის რაიონში მუშაობს. ამჟამად იგი სოფელ ფშაველის საკოლმეურნეო საავადმყოფოსამკურნალო-მთავარი ექიმია. მას ყოველთვის კოლმეურნეებთან ნახავთ... მშრომელები არა მარტო მაშინ აკითხავენ ამ ექიმს, როცა ავად ხდებიან, არამედ მაშინაც, როცა მინდვრად სამუშაოდ მიდიან, ან სოფელში რიმე ახალი სერიოზული ღონისძიებაა გასატარებელი. შ. გვიშიანი კარგა ხანია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო სოფლის კომუნისტებმა ერთხმად აირჩიეს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად.

როცა შალვას ვკითხეთ — რას ფიქრობს, რა გზით შეიძლება გაუმჯობესდეს სოფლად საავადმყოფოების მუშაობა, გვიპასუხა: საავადმყოფოები, რომლებიც ამჟამად გვაქვს სოფლებში, იტევენ ერთდროულად მხოლოდ 10-15 საწოლს. ბუნებრივია, მათი აღჭურვა ახალი კაბინეტებითა და პრეპარატებით, დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით, შეუძლებელია. ერთად ერთ სწორ გზად მიმაჩნია სოფლად საკოლმეურნეობათაშორისო საავადმყოფოს აგება, რომელსაც ექნება ორმოცდაათზე მეტი საწოლი, საუკეთესო კაბინეტები და აპარატურა, ეყოლება კვალიფიციური ექიმები. ასეთი საავადმყოფოების აშენება ჩვენს მილიონერ კოლმეურნეობებს არ გაუჭირდებათ თუ მოვინდომებთ და საქმეს სათავეში ჩავუდგებით.

ამ საქმისათვის უკვე იღვწიან თელავის რაიონში. საერთოდ ამ რაიონში უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისთვის, ქალაქად და სოფლად სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად, ეზოებისა და მოედნების გასამწვანებლად, სანიტარული პირობების დასაცავად.

სხვანაირად არც შეიძლება. თვალწარმტაც ალაზნის ველზე ვერავითარმა ავადმყოფობამ ფეხი ვერ უნდა მოიკიდოს.

ბ. თათარიშვილი,
ს. ქოჩლაძე.

ტელეგრამა გვატყობინებს

□ **კონაკრიში** ჩავიდა არგენტინაში მომავალი საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

□ **სსრ კავშირის** ელჩმა შვეიცარიაში ფ. ტ. გუსევმა საბჭოთა კავშირის სტოკჰოლმის საელჩოში დარბაზობა გამართა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევის შვეიცარიაში ყოფნის გამო. დარბაზობაზე იყვნენ შვეიცის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და წევრები.

□ **ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი შეერთებულ შტატებში გაფრინდა ლისაბონიდან, სადაც მან ერთ დღეს დაჰყო პარიზიდან გამგზავრების შემდეგ.

□ „სს-11“ ტიპის 20.000 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა შეუკვეთა ბონის თავდაცვის სამინისტრომ საფრანგეთის ფირმას „ნორ-ავიაციონს“.

საგზაო გალეტი დანიის ფესტივალზე

კოპენჰაგენში გაიხსნა სრულიად დანიის 1960 წლის ბალეტისა და მუსიკის ფესტივალი, რომელიც ორ კვირას გაგრძელდება. ფესტივალი დაიწყო საბჭოთა კომპოზიტორის ს. პროკოფიევის ბალეტ „რომეო და ჯულიეტას“ დადგმით.

დიადი ცხოვრება სცენაზე

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

ნ. 6. პოგოდინი საბჭოთა დრამატურგიის გამოჩენილი ოსტატია. მის პიესებში „თოფიან კაცსა“ და „კრემლის კურანტებში“ გამოიხატა ოქტომბრის რევოლუციის მგზნებარე პათოსი, მთელი სიცხადით წარმოგვიდგა დიდი ლენინის სახე, სახე „ყველაზე ადამიანური ადამიანისა ადამიანთა შორის“ (ვ. მაიაკოვსკი).

გავიდა წლები და ნ. პოგოდინი კვლავ დაუბრუნდა ძვირფას თემას: გვიჩვენა ბელადის ცხოვრების კიდევ ერთი ფურცელი.

„მესამე პათეტიკური“... თითქოს ბეთჰოვენის მძლავრ აკორდებში წარმოისახა მსოფლიოს მშრომელთათვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის დაუვიწყარი სახე, მისთვის ჩვეული ალმაფრენა, რწმენა მომავლისა... დიდი ადამიანურობა და სიბრძნე.

ასეთს ვხედავთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს (კ. მიუფკე) მის გამოჩენისთანავე გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე, პირველსავე სურათში. მსახიობი კ. მიუფკე ლენინის როლში გვიტაცებს არა მარტო გარეგნული, პორტრეტული მსგავსებით. კ. მიუფკე-ლენინი სავსეა ბობოქარი მოქმედებით, თითქოს მას სურს გამოგლიჯოს მარადიულობას ყოველი წამი, რათა ყველაფერი მოასწროს, გააკეთოს. კ. მიუფკეს არაერთხელ განუხორციელებია ლენინის სახე როგორც თეატრში, ისე ეკრანზე, და უნდა აღინიშნოს, რომ მან ბევრი ახალი შტრიხი შეიტანა მასში, დახვეწა, უფრო ბუნებრივი და ძუნწი, გამომხატველი გახადა ეესტი, მოძრაობა, გააღრმავა ფსიქოლოგიური დეტალები.

მაგალითისათვის ავიღოთ სცენა სესტრორეცკისთან და დიატლოვთან კრემლში: მსახიობს ნათელი და კონკრეტული ამოცანა აქვს — დაუბრუნოს ადამიანებს შერყეული რწმენა, გაიტაცოს დიდი იდეით, მისი სიმართლით და ამას მსახიობი აღწევს ლენინისათვის დამახასიათებელი შესანიშნავი დარწმუნების უნარის გადმოცემით. კ. მიუფკე-ლენინს პატარა მონოლოგი სავსეა შინაგანი ძალით, ექსპრესიით, მისი დარბაზისკენ მოპყრობილი სახე გამოხატავს დიდ აზრებს, ღრმა ფიქრებს.

ლენინის დის, მარიამ ილიას-ასულის სახე პიესაში ეპიზოდურია, მაგრამ მსახიობმა ვ. ზახაროვამ შაინც შეძლო მისთვის თბილი, მართალი ფსიქოლოგიური ფერების გამონახვა, როლის შესაძლებლობის ფარგლებში გვიჩვენა მოსიყვარულე, ერთგული ადამიანის სახე.

ნ. პოგოდინის დრამატული ტრილოგიის პირველი პიესები — „თოფიანი კაცი“ და „კრემლის კურანტები“ „მესამე პათეტიკურზე“ გაცილებით ძლიერი ნაწარმოებებია. ამ უკანასკნელში მოცემული ორი ძირითადი ხაზი ვერ არის საკმაოდ შინაგანად დაკავშირებული და პიესას ამიტომ ერთგვარი ფრაგმენტულობა ახასიათებს. ყველა თემა როდი პოულობს დასრულებას. პიესის ამ ერთგვარ ფრაგმენტულობას, რომელიც ნაწილობრივ სპექტაკლში გადმოვიდა, თავი ვერ დააღწია მისმა დადგმელმა — თეატრის მთავარმა რეჟისორმა ი. მალკოვსკიმ. თუ კაბერული სცენები შინაგანად გახსნილია, ფსიქოლოგიურად მოტივირებული, ლოგიკური, — მასობრივი სცენები სპექტაკლში გაცილებით სუსტად არის დადგმული, პირველსა და ბოლო აქტებში არ არის შექმნილი საჭირო ატმოსფერო, სცენაზე მყოფ მსახიობებში სტატისტებს უფრო ვხედავთ, ვიდრე ენთუზიაზმით აგზნებულ მეშუშებს. სპექტაკლი რიტმულად არათანაბარია, ზოგან რიტმი შენელებულია, ჩავარდნილი; მაგალითად, სუსტი, ტექნიკურადაც დაუხვეწავია ილიჩთან შეხვედრათა მოგონების სცენები... ი. მალკოვსკიმ ეპიკურობა ჩამოაცილა ამ სცენებს. ამიტომაც ხელოვნურად გვიჩვენება მთხრობელის ფიგურა, სპექტაკლდან ცალკე დგას თავისთავად კარგად მონახული ფინალი. სამაგიეროდ, როგორც აღვნიშნეთ, საინტერესოდ არის დამუშავებული კამერული სცენები, მონახულია სწორი, მართალი მდგომარეობანი. რეჟისორს სერიოზული მუშაობა გაუწევია მსახიობებთან, რის შედეგადაც სპექტაკლში გვაქვს მთელი რიგი აქტიორული წარმატებები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მსახიობი ნ. ტროიანოვი ახალგაზრდა ჩეკისტის თვედორე დიატლოვის როლში. მისი თამაში სადა და დამაჯერებელია.

ინჟინერ სესტრორეცკის სანტერესო სახე შექმნა ი. რუსინოვმა. რუსინოვი-სესტრორეცკი პატიოსანი ინტელიგენტია, ინჟინერი, რომელმაც აზრით და გულით იგრძნო რევოლუციის, ლენინის საქმართლე, მაგრამ მასში ჯერ კიდევ ბევრია წარსულის გადმონაშთი გაუბედავობის, მერყეობის სახით. მსახიობი საკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენებს, თუ როგორ იმოქმედა სესტრორეცკზე ლენინთან საუბარმა, როგორ აღუდგინა რწმენა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლენინთან შეხვედრის სცენებში, კრემლში, საჭიროა მეტი შინაგანი დაძაბულობის გამოხატვა.

იპოლიტე სესტრორეცკის დის, ირინეს სახეს მიმზიდველად განასახიერებს ლ. ზვერევა. მსახიობი კარგად გადმოგვცემს მის სულიერ მშვენიერებას, სიწმინდეს. მიმნდობლობას. შინაგანი სიმართლით, გარეგნული აფექტაციის გარეშე თამაშობს ლ. ზვერევა ყველაზე დრამატულ სცენებს.

ნერვიული, წონასწორობიდან გამოსულია ი. შევჩუკის ვალერი სესტრორეცკი. პირველ წუთებშივე მსახიობი გადმოგვცემს მის დაბნეულობას, პანიკურ შიშს, რომელიც იზრდება და კულმინაციას აღწევს დიატლოვთან სცენაში, როდესაც სასჯელი გარდუვალი ხდება. ამ სცენას ი. შევჩუკი ჭეშმარიტი დრამატიზმით ატარებს, თუმცა პიესაში სუსტად არის მოტივირებული ვალერი სესტრორეცკის ღალატ-ცთუნების ამბავი, მაგრამ მსახიობის მიერ ამ მხარის შინაგანი ფსიქოლოგიური მოტივირება უთუოდ მეტ დამაჯერებლობას მისცემდა მას.

სპექტაკლში ზედმეტად გაუბრალოებულია შეურიგებელი კლასობრივი მტრის, მილიონერ გეოზდილინის სახე. ა. ერშოვი უფრო ხაზს უსვამს ამ გმირის გაიძვერობას, ვიდრე მის ვერგობას, მოქნილ ჭკუას, რომელსაც ილიჩი აღნიშნავს.

ნ. ბურმისტროვი სატირული პორტრეტის ოსტატია. იგი შეუბრალებლად ამხელებს ნასტია გეოზდილინას, გვიჩვენებს მის ცინიზმს, სულიერ სიცალიერეს. ნასტია-ბურმისტროვას მთელი არსებით სძულს ახალი საბჭოთა ადამიანები, მათი მორალი, მათი ცხოვრების წყობა, იგი მთელი არსებით ებღაუჭება წარსულს, ეშინია მომავლის. ნ. ბურმისტროვი ნასტიას ვულგარულ მანერებში, აღვირახსნილ სიცილში გადმოგვცემს მის შემზარავ ნიჰილიზმს.

პიესაში საკმაოდ მკვეთრი კამათია ხელოვნების საკითხებზე. ყალბი ნოვატორობის ნიღბით ფარავს უნიჭო მხატვარი კუმაკინი (ი. ზლობინი) თავის უძლურებას. ლენინმა ღრმად განუმარტა იპოლიტე სესტრორეცკის კუმაკინის „ნოვატორობის“ კლასობრივი არსი, ფორმალისტური, დეკადენტური ხელოვნების მავნე ხასიათი. მსახიობის თამაში ზომიერი სატირული მხილების გზით არის წარმართული. ი. ზლობინი კუმაკინის ხასიათში ხაზს უსვამს არა მარტო მის პრიმიტიულობას, სასულელს, მანიაკურ თვითკმაყოფილებას, არამედ იმ თავისებურ „ლოგიკას“, რომელიც ასაზრდოებს კუმაკინს, განაპირობებს მის შემოტევას ახალი ცხოვრების წინააღმდეგ.

ი. ბროსევიჩის მეეზოვე ამდილდა, სამწუხაროდ, მკრთალი, ერთფეროვანია. მსახიობმა არა მარტო ვერ მოუნახა მას გარეგნული დახასიათება, არამედ ვერ შექმნა ჭკვიანი, ეშმაკურად გულუბრყვილო ადამიანის სახე, რომელსაც ღრმად სჯერა იმისა, რომ რაც უნდა მოხდეს ქვეყანაზე, ის მაინც მოგებული დარჩება. სხვა შემსრულებელთა შორის დამაკმაყოფილებლად თამაშობენ ვ. სემინა (კუმაკინის მეუღლე), ა. ზაგორსკი (სუხოეილოვი), ვ. კორნილინი (პრონინა), ა. სმირნინი (ბატონი სქელი ჯოხით), გ. ვოლინეცი (სქელმუცელა ბატონი).

მუსიკა სპექტაკლში (ა. ეელტუხინი) კარგად არის შერჩეული. იგი აძლიერებს მის ემოციურობას.

სამწუხაროდ, ნიჭიერმა მხატვარმა ი. დონცოვამ, რომელმაც არაერთი სპექტაკლი საინტერესოდ გააფორმა გრიბოედოვის თეატრის სცენაზე, ამჯერად ვერ გაგვახარა. ნამდვილად მიუღებელია ნატურალისტური დეტალების პირობითობასთან ამგვარი მექანიკური შეერთება.

სპექტაკლ

პაპის გული გაახარა...

ფოტო ბ. დადვაძისა და შ. ჩხეტიანისა.

სერიოზული გაფრთხილება

საბჭოთა მთავრობის ნოტა იაპონიის მთავრობისადმი

20 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში ხ. კადოვაკი და გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა. საბჭოთა მთავრობა კვლავ აფრთხილებს იაპონიის მთავრობას იმ შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს იაპონიის მიერ ახალი სამხედრო ხელშეკრულების დადებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იაპონიის ტერიტორიის გამოყენებას აგრესიული მიზნებით საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის ისტორია, რომელიც 1 მაისს შემოიჭრა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ჯაშუშური მიზნით და ჩამოაგდეს საბჭოთა რაკეტულმა ჯარებმა, უცილობლად მოწმობს ამ სამხედრო ხელშეკრულებათა აგრესიულ დანიშნულებას, რომელთა შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ საბაზებს განლაგებენ ამ ხელშეკრულებათა მონაწილე ქვეყნების ტერიტორიებზე და იყენებენ მათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციებისათვის.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში აღნიშნავს, რომ დადგენილია არა ერთი შემთხვევა, როცა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შემოჭრილან ამერიკის თვითმფრინავები, რომელთაც ბაზა იაპონიის კუნძულებზე აქვთ. შეგნებულად ართულებს რა ვითარებას, ნათქვამია ნოტაში, იაპონიის მთავრობა სამხედრო შეთანხმებას დებს სახელმწიფოსთან, რომელმაც თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკად გამოაცხადა ჯაშუშობა და დივერსიები სხვა ქვეყნების სუვერენიტეტისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დარღვევა. საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ ახალი სამხედრო ხელშეკრულების დადება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის სწორედ მოწოდებულია უზრუნველყოს პირობები იმისათვის, რომ იაპონიის ტერიტორიიდან განახორციელონ აგრესიული მოქმედება სსრ კავშირისა და მისი მეგობარი სახელმწიფოების მიმართ.

იაპონიის მთავრობას გარდაუვალად დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს პროვოკაციებს სსრ კავშირის მიმართ, რომლებიც ხდება იაპონიის ტერიტორიიდან. (საკდესი).

ხელოვნების ამბები

„თხუნელა“

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ო. ჩიჯავაძის სატირული კომედია „თხუნელა“. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ო. ალექსიშვილს, მხატვრული გაფორმება — დ. თაყაიშვილს, მუსიკა — კომპოზიტორ გ. ცაბაძეს.

მუშათა სცენაზე

თელავი. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშათა კლუბთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ნ. ანანიაშვილისა და დ. როსტომაშვილის პიესა „პროფესია“. პიესა დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა artისტმა ვ. ჩელთსპირელმა. როლებს ასრულებენ ზეინკალი მ. ბეგანოვი, ძაფის ამომხვევები მ. გიხნიაშვილი, ე. ბოჭორიძე და ფ. მაისურაძე, ლაბორანტი ე. კირკოზოვი, სახანძრო დაცვის მუშაკი გ. ლომაშვილი, ბიბლიოთეკის გამგე ქ. ჩხეიძე, სახარისხო საამქროს მუშა ვ. ომანაშვილი და სხვები.

გავშვთა ანსამბლი

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქში — ტყიბულში დიდი პოპულარობით სარგებლობს სტალინის სახელობის შახტის კლუბთან არსებული ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც მეშახტეთა 50 ბავშვია გაერთიანებული.

„მზის ამოსვლამდე“

სიღნაღი. (საკ. კორ.). სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა შ. დადიანის პიესა „მზის ამოსვლამდე“, პიესა დადგა რეჟისორმა ა. პაველიშვილმა, მხატვრულად გაფორმა გ. დანიელაშვილმა.

იშვიათი შემთხვევები

როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ამბროლაურიდან გვწერს, არაჩვეულებრივი დედაცხვარი ჰყავს სოფელ ქედისუბანში მცხოვრებ კოლმეურნეს ს. ბოჭორიშვილს. ამას წინათ მან მოიგო ოთხი ბატკანი, რომლებიც ნორმალურად იზრდებიან.

ეს პირველი შემთხვევა როდია. ამავე ცხვარმა გასული წლის გაზაფხულზე მოიგო ოთხი ბატკანი, შემოდგომაზე კი — სამი. შვიდიე ბატკანი კარგად გაიზარდა.

ასეთსავე შემთხვევაზე გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. ვ. კუტალაძე თერჯოლის რაიონიდან. სოფელ თუზის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ნ. მაჩიტიძეს ერთმა ცხვარმა 13 თვის განმავლობაში 10 ბატკანი შესძინა. ცხვარს ორჯერ ოთხ-ოთხი ბატკანი ეყოლა და ყველა შენარჩუნებულია.



დ. გამრეკელი.

მ ღ ე რ ი ს

დ ა ვ ი თ გ ა მ რ ე კ ე ლ ი

გამოჩენილი საბჭოთა მომღერლის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით გამრეკელის სახელი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა საოპერო ხელოვნების მოყვარულებს შორის.

ამას წინათ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დავით გამრეკელის თბილისში გასტროლების დროს შეხვდა სახელოვან ქართველ მომღერალს, რომელმაც საუბარში განაცხადა:

— არსად არ ვღელავ ისე, როგორც თბილისის საოპერო სცენაზე გამოსვლის დროს. ჯერ-ერთი, თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქია; მეორე — თბილისის საოპერო თეატრში მოხდა ჩემი, როგორც საოპერო მომღერლის, ნამდვილი ნათლობა, ამ თეატრის სცენაზე კი თავის დროზე ბევრი სახელგანთქმული ქართველი, რუსი და იტალიელი საოპერო მომღერალი გამოსულა, და მომთხოვნი თბილისელი მსმენელის წინაშე გამოსვლა არც ისე იოლია. მე ბედნიერი ვარ, რომ თბილისელმა მსმენელებმა კვლავ გულთბილად მიმიღეს.

— წელს თბილისში გასტროლებზე ჩამოსვლა ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმითაც, რომ პარალელურად აქ ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტაზე ჩასაწერად სხვა ქართველ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში“. „დაისის“ ეს ფირფიტები უკვე გამზადებულია და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად. განზრახულია მაქვს „დაისის“ გარდა ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტაზე ჩასაწერად მონაწილეობა მივიღო ზ. ფალიაშვილის მეორე შედევრში—„აბესალომ და ეთერში“. ბოლო წლებში ვეწევი საკონცერტო მოღვაწეობას — არ დარჩენილა საბჭოთა კავშირის არცერთი კუთხე, სადაც არ ვყოფილვარ გასტროლებზე. ამ გასტროლებზე ყოველთვის ვცდილობ ჩემს ყოველ კონცერტში ჩვეულებრივ ყოველთვის შედის 3-4 ქართული სიმღერა, რომანსი თუ არია ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან. გასტროლებზე გამოვდივარ არა მარტო კონცერტებით, არამედ მონაწილეობას ვიღებ საოპერო სპექტაკლებში, მაგალითად, წელს ონეგინის, რიგოლეტოს, ჟერმონის, და სხვა წამყვან საბარიტონო პარტიებს ვმღეროდი ოდესის, ნოვოსიბირსკის, დნეპროპეტროვსკის, კიშინიოვის ოპერის თეატრებში.

— თბილისელ საოპერო მუსიკის მოყვარულთათვის, — განაცხადა დასასრულ საუბარში დავით გამრეკელმა, — საინტერესო იქნება ის, რომ უახლოეს მომავალში დავამთავრებ ავტობიოგრაფიულ-მემუარულ წიგნს, რომელიც ქართველი მსმენელების წინაშე ჩემი შემოქმედებითი ანგარიში იქნება.



ლ. ვოლპერტი

ტ. შტადლერი

ოსტატის წოდების მოსაპოვებლად

ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირის უკანასკნელი ტურები შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება. გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მეექვსე ტური. შეხვედრათა უმრავლესობა შედეგიანი აღმოჩნდა.

ოსტატობის კანდიდატმა **ა. არუთინოვმა** (ბაქო) წარმატებით ჩაატარა ბრძოლა ოსტატ **ა. ბუსლაევის** (თბილისი) წინააღმდეგ. მან დებიუტიდან მიღებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა. ერევნელი მოჭადრაკის ოსტატობის კანდიდატ **ვ. ზაბარიანის** წინააღმდეგ პარტიაში ოსტატმა **დ. როვნერმა** (ლენინგრადი) უარესი პოზიცია მიიღო, წააგო ფიგურა და თავი დამარცხებულად ცნო. ოსტატმა **გ. ილივიცკიმ** (სვერდლოვსკი) მოუგო ოსტატობის კანდიდატ **შ. გიტერმანს** (კიშინიოვი).

მშვიდი ბრძოლით ხასიათდებოდა ოსტატობის კანდიდატ **დ. ჯანოევისა** (თბილისი) და ოსტატ **ლ. არონსონის** (ლენინგრადი) პარტია, სადაც მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული **ა. ბლაგიძე** (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) — **ე. სტოლიაროს** (ლენინგრადი, ოსტატი) პარტიაში.

ა. სარქისიან (კიროვაკანი, ოსტატობის კანდიდატი) — **გ. ბასტრიკოვის** (სვერდლოვსკი, ოსტატი) და **ლ. ლისტენგარტენ** (ბაქო, ოსტატობის კანდიდატი) — **ვ. კირილოვის** (ლენინგრადი, ოსტატი) პარტიები გადაიდო.

ექვსი ტურის შემდეგ ოსტატთა შორის წინ არიან **გ. ილივიცკი** (4,5 ქულა), **ე. სტოლიაროი** (4 ქულა) და **გ. ბასტრიკოვი** (3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია). ოსტატების კანდიდატთა შორის, რომლებიც ოსტატის წოდების მოსაპოვებლად იბრძვიან, კარგი შედეგები აქვთ თბილისელ **დ. ჯანოევსა** და **შ. გიტერმანს** (სამნახევარ-სამნახევარი ქულა).

დღეს გაიმართება მეშვიდე ტური.

ნ. გაფრინდაშვილი

ბ უ ნ ე ბ ი ს წ ი ა ღ ლ ი

ცასა სწვდებიან კავკასიონის ზვიადი მწვერვალები, დაბლა ხმაურობს ჭანჭახის ხევი. ირხევიან ტანაშოლტილი ფიჭვები, ფერდობებზე ქუხან წყალუხვი ჩანჩქერები, ზანტად მიცურავს შიშველი კლდის ნაპრალებზე რძისფერი ნისლი. ჩუხჩუხებენ მინერალური წყლები. მთებიდან მონაბერი ნიავი ატოკავს ახლად შეფოთლილ ხის კენწეროებს, ამაყად გასცქერიან კავკასიონის მთაგრეხილს შოვის ლამაზი სანატორიუმები.

მთის ცოცხალმა ბუნებამ, სუფთა, ჯანსაღმა ჰაერმა, ჭარბმა მზის სხივებმა, სასარგებლო მკაცე წყლებმა და მშვიერმა მთის პეიზაჟებმა შორს გაუთქვეს სახელი შოვსა და უწერას. აქ ყოველწლობით მოდის ასობით ტურისტი და დამსვენებელი, ატარებენ ზაფხულის დღეებს, იჯანსაღებენ და იკაჟებენ სხეულს მთის ლამაზ ბუნებაში.

წელს სეზონი გაიხსნება 10 ივნისს. შოვსა და უწერაში სულ დაისვენებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული 2000-ზე მეტი მშრომელი. დამსვენებლები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი ბინებით, აბაზანებით, კულტურული მომსახურებით და სხვ.

კურორტის კაპიტალური შეკეთება-კეთილმოწყობისათვის წელს დაიხარჯება 622 ათასი მანეთი. დამთავრდება უწერის 16-კაბინიანი აბაზანა, შოვის 40-საწოლიანი აეროსოლარიუმი, რადიაქტიური წყლის შხაპები.

კეთდება კურორტის შიდა გზები და იგება ასფალტი. შოვის მეორე სანატორიუმის კორპუსთან შენდება და წელს დამთავრდება ახალი კვების ბლოკი.

სეზონის გახსნისათვის კურორტმა უწერისა და ონის ტერიტორიაზე შექმნა საკუთარი მეურნეობა, რომელიც კურორტებს მოამარაგებს ახალი ბოსტნეულით.

ქუთაისი-შოვის მიმართულებით 1 ივლისიდან ნავარაუდევია საჰაერო მიმოსვლა ვერტმფრენით, რაც გააადვილებს დამსვენებელთა სწრაფ გადაყვანას. იმუშავებს 4 ახალი ავტობუსი.

დ. ხახიაშვილი.

ო, ეს კოპა!

ერთმა ბულვარულმა ესპანურმა გაზეთმა ამას წინათ ხმა გაავრცელა, თითქოს რაიმონ კოპა ახლა... მოსკოვშია. თურმე ნუ იტყვით, ეს ეშმაკი ფრანგი, რომელიც ერთხანს მადრიდის „რეალში“ თამაშობდა, ახლა რუსებს ესპანელთა ყველა საიდუმლოებას აცნობს და თითქოს კიდევაც წვრთნის მათ ევროპის თასზე თამაშის წინ.

ზოგმა ვინმემ ეს პრიმიტიული ჭორი დაიჯერა, მაგრამ ესპანეთშიც კი ფეხბურთის მოყვარულებმა, რომლებიც ოდნავ მაინც ადევნებენ თვალყურს იმას, რაც პირველნეულს გადაღმა ხდება, კარგად იციან, სად არის კოპა. რაიმონ კოპა ახლა მთელი ძალღონით შრომობს საფრანგეთის ფეხბურთის მოედნებზე, და მისი შშობლიური „რეიმსი“, თავისი დირიჟორის დახმარების მეოხებით ამ ქვეყნის პირველი კლუბის სახელს იბრუნებს.

საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელი, 380-ე მატჩი მხოლოდ 29 მაისს გათამაშდება. მაგრამ „რეიმსი“ უკვე ახლა ჩემპიონია. მან ამ წოდების მოპოვება უზრუნველყო პირველობის დამთავრებამდე სამი კვირით ადრე, ხოლო შარშანდელი ჩემპიონი — ნიცის გუნდი გათამაშებაში ჯერჯერობით მხოლოდ მერვე ადგილზეა.

მაგრამ „რეიმსს“ არ უნდა მარტო ჩემპიონის გვირგვინს დასჯერდეს. შამპანის მოთამაშეებმა ჯერ თავგამეტებული ნახტომი გააკეთეს თასისათვის ბრძოლაში. მაგრამ „მონაკოს“ კლუბმა გადაუღობა მათ გზა, საგრძნობი დამარცხება მიაყენა „რეიმსს“.

4 მაისს ჩემპიონატის კალენდარმა კვლავ შეახვედრა ეს ორი გუნდი ერთმანეთს. შამპანის გულშემატკივრები მოითხოვდნენ, რომ „რეიმსს“ სამაგიერო გადაეხადა თასის დაკარგვისათვის — და „რეიმსმა“ შეძლო ეს. ფონტენი არ თამაშობდა („შოსოსთან“ მატჩში მას ფეხი მოტეხეს), მაგრამ კოპას მრისხანე „ტანდემმა“ — პიანტონიმ კვლავ გაამართლა მწვრთნელის იმედები.

... თამაშის მეორე წუთია. ნახევარმცველი ლებლონი თავისი საჯარიმო მოედნიდან გრძელი გადაცემით ბურთს აწვდის კოპას. ფრანგებს ცენტრფორვარდი მანევრს აკეთებს, მარცხენა მხარეს მიდის, ატყუებს ფილიპის. უეცრად ბურთს მარჯვნივ აწვდის... თამაშში ებმება მარჯვენა გარემარი ბიერნა? არა, იგი ბურთს ვერ მისწვდება. უფრო კი ისე აჩვენებს თავს, თითქოს ვერ მისწვდება. და ქარიშხალივით მოვარდნილი მარცხენა მხარეს ბოლომდე, ალა რუსებს ესპანელთა ყველა საიდუმლოებას აცნობს და თითქოს კიდევაც წვრთნის მათ ევროპის თასზე თამაშის წინ.

ზოგმა ვინმემ ეს პრიმიტიული ჭორი დაიჯერა, მაგრამ ესპანეთშიც კი ფეხბურთის მოყვარულებმა, რომლებიც ოდნავ მაინც ადევნებენ თვალყურს იმას, რაც ხდებოდა ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა. ერევნელი მოჭადრაკის ოსტატობის კანდიდატ **ვ. ზაბარიანის** წინააღმდეგ პარტიაში ოსტატმა **დ. როვნერმა** (ლენინგრადი) უარესი პოზიცია მიიღო, წააგო ფიგურა და თავი დამარცხებულად ცნო. ოსტატმა **გ. ილივიცკიმ** (სვერდლოვსკი) მოუგო ოსტატობის კანდიდატ **შ. გიტერმანს** (კიშინიოვი).

მშვიდი ბრძოლით ხასიათდებოდა ოსტატობის კანდიდატ **დ. ჯანოევისა** (თბილისი) და ოსტატ **ლ. არონსონის** (ლენინგრადი) პარტია, სადაც მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული **ა. ბლაგიძე** (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი) — **ე. სტოლიაროს** (ლენინგრადი, ოსტატი) პარტიაში.

ა. სარქისიან (კიროვაკანი, ოსტატობის კანდიდატი) — **გ. ბასტრიკოვის** (სვერდლოვსკი, ოსტატი) და **ლ. ლისტენგარტენ** (ბაქო, ოსტატობის კანდიდატი) — **ვ. კირილოვის** (ლენინგრადი, ოსტატი) პარტიები გადაიდო.

ექვსი ტურის შემდეგ ოსტატთა შორის წინ არიან **გ. ილივიცკი** (4,5 ქულა), **ე. სტოლიაროი** (4 ქულა) და **გ. ბასტრიკოვი** (3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია). ოსტატების კანდიდატთა შორის, რომლებიც ოსტატის წოდების მოსაპოვებლად იბრძვიან, კარგი შედეგები აქვთ თბილისელ **დ. ჯანოევსა** და **შ. გიტერმანს** (სამნახევარ-სამნახევარი ქულა).

დღეს გაიმართება მეშვიდე ტური.

საბჭოთა კალათბურთელები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 20 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ახალგაზრდულმა გუნდმა გუშინ ქალაქ კრომერიჟში მოაწყო უკანასკნელი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებთან.

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა მოწინააღმდეგე იყო ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული გუნდი.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის საგენტო იუწყება, მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა ანგარიშით 78:35 (35:14).

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი. 21 მაისი. დღეს აქ გაიმართა „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ერევნის „სპარტაკის“ გუნდები. მატჩის შედეგია 3:0 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

„ბ“ კლასი

ქუთაისი. (საკ. კორ.). „ბ“ კლასის მეორე ზონაში წარმატებით იბრძვის ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. ტორპედოელებმა დღემდე გამართული 4 შეხვედრიდან ოთხივე მოიგეს და 8 ქულით ლიდერთა რიგებში იმყოფებიან. მათ მოწინააღმდეგეთა კარში 9 ბურთი გაიტანეს, თავიანთ კარში კი მხოლოდ 1 ბურთი მიიღეს.

„სადარაჯოზე ცხვრის ფარაში“

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ესპანეთის მთავრობა მატჩის ჩატარების წინააღმდეგია

როგორც საზღვარგარეთის პრესა იუწყება, ესპანეთის მთავრობამ გადაწყვიტა არ ჩაატაროს მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში ევროპის თასზე ესპანეთის ეროვნულ ნაკრებსა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

22 მაისი

თეატრები: **ოპერისა და ბალეტის** — ქეთო და კოტე (დღისით), ოტელო (საღამოს, მე-10 აბონ. მე-10 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი (დღისით და საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ირკუტსკის ისტორია (დღისით და საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — არშინ მალ-ალან (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ჯავშნიანი გულო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბ. № 47, 12 ს., აბ. № 19, 7 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ორკესტრი ბორის რენსკის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.20 — „იქნებ თქვენც გაიკეთოთ?“, 12.40 — მხატვრული ფილმი „მეგობარ-ამხანაგები“, 14.00 — „უცხო ენის შემსწავლელთათვის“ — ინგლისური ენის გაკვეთილი, 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — საუბარი მშობლებთან, 19.50 — კინონარკვევი, 20.20 — მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის, 20.30 — კონცერტი.



ერთი წვევამდელი სამხედრო სამსახურს თავს არიდებდა და კომისიაზე გასვლა მოითხოვა.

— რას უჩივი? — ჰკითხა ექიმმა.

— ახლომხედველი ვარ, — უპასუხა წვევამდელმა, — ამის დამტკიცება ძალიან ადვილად შემიძლია — აგერ იმ ლურსმანს კედელზე ხედავთ?

— ვხედავ, — უპასუხა ექიმმა.

— მე ვერ ვხედავ.

* * *

რესტორანში ერთი გურმანი შევიდა, მაგიდას მიუჯდა და მენიუ გადაათვალიერა. შემდეგ ოფიციანტს დაუძახა და უთხრა: აი შენ ექვსი პენსი საჩუქრად და მითხარი, რა ავირჩიო.

— სხვა რესტორანი, — უპასუხა ოფიციანტმა და ფული ჯიბეში ჩაიდო.

* * *

ჯეკი ყოველთვის იგვიანებდა სკოლაში. ერთ სუსხიან დილას მან ჩვეულებრივზე მეტად დაიგვიანა. მასწავლებელმა მიზეზი რომ ჰკითხა, მან უპასუხა:

— გზა ისე იყო მოყინული, ერთ ნაბიჯს წინ რომ გადავდგამდი, ორს უკან მივსრიალებდი.

— როგორღა მოახერხე მოსვლა?

— შემოვტრიალდი და გადავწყვიტე შინ დავბრუნებულიყავი,

— უპასუხა ჯეკმა.

ერთი მეფე პოეტობას ჩემულობდა. დიდებულები იწონებდნენ და ხოტბას ასხამდნენ პოეტ მეფეს. ერთხელ მან თავისი ლექსები ფილოსოფოსს წაუკითხა. ფილოსოფოსმა ლექსები სასტიკად გააკრიტიკა. მეფე ძალიან გაბრაზდა და კრიტიკოსი-ფილოსოფოსი დააპატიმრებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ ფილოსოფოსი შეიწყალა და სადილზე მიიწვია. სადილის შემდეგ ლექსები კვლავ წაუკითხა და შეფასება უბრძანა. ფილოსოფოსი მცველებს მიუბრუნდა და უთხრა: „ღვთის გულისათვის კვლავ ციხეში წამიყვანეთ“.

* * *

ამბავი სტადიონზე ხდება.

— რა მოუვიდათ, ყველანი ერთად რათ მირბიან?

— ნუთუ მართლა არ იცი: ვინც პირველი მიირბენს, ჯილდოს მიიღებს.

— აბა დანარჩენები რაღათ იკლავენ თავს?

* * *

ერთ კაცს ღამის ყარაულად უნდოდა მოწყობა. კანტორაში მივიდა თუ არა, პირველად ის ჰკითხეს, ამ სამუშაოსათვის ყველა აუცილებლად საჭირო თვისება გაქვთ თუ არაო?

— როგორ არა! ოდნავ ფაჩიფუჩზეც კი მეღვიძება, — უპასუხა მან.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხალხის, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-42.

УЕ 02440

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

4